საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

27/02/2025

MES 5 25 0000215726

გადაწყვეტილება

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 და მე-9 პუნქტების და აკრედიტაციის დებულების 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 4 წელი.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 02 სექტემბრის №1041393 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო, "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" საბაკალავრო, "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო და "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.
2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.3 ზეპირი მოსმენა გაიმართა 2025 წლის 18 თებერვალს.
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:
საბჭომ სტანდარტის 1.2 კომპონენტთან დაამატა რეკომენდაცია:
„რეკომენდებულია დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგები და მოხდეს მათი მოდიფიცირება, რათა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს. (კონკრეტულად სწავლის შედეგები ნათლად უნდა ასახავდეს როგორც ტექნიკურ, ასევე მენეჯერულ კომპეტენციებს.)“, შესაბამისად სტანდარტის 1.2 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.
საბჭომ სტანდარტის 1.4 კომპონენტთან დაამატა რეკომენდაციები:

- „რეკომენდებულია "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან“;
- რეკომენდებულია "სტრატეგიული მენეჯმენტი", "სამეწარმეო სამართალი" და "მარკეტინგის საფუძვლები" დაემატოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს;

შესაბამისად სტანდარტის 1.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.
საბჭომ სტანდარტის 1.5 კომპონენტთან დაამატა რეკომენდაცია და რჩევა:
რეკომენდაცია: რეკომენდებულია "კორპორაციული ფინანსების" შინაარსი და ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სახელწოდებასთან (ამჟამად არსებული სასწავლო კურსი წარმოადგენს მენეჯერული აღრიცხვის სასწავლო კურსს);
რჩევა: სასურველია განახლდეს სასწავლო კურსების ლიტერატურა.
შესაბამისად სტანდარტის 1.5 კომპონენტი, ნაცვლად, „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით პირველი სტანდარტის საერთო შეფასება, ნაცვლად, „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან".

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2} -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5} -ე

მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით - 2027 წლის 18 თებერვლამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო, "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" საბაკალავრო, "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო და "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 27 თებერვლის სხდომის №210672 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგები და მოხდეს მათი მოდიფიცირება, რათა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს. (კონკრეტულად სწავლის შედეგები ნათლად უნდა ასახავდეს როგორც ტექნიკურ, ასევე მენეჯერულ კომპეტენციებს);
- რეკომენდებულია "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან“;
- რეკომენდებულია "სტრატეგიული მენეჯმენტი", "სამეწარმეო სამართალი" და "მარკეტინგის საფუძვლები" დაემატოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს
- რეკომენდებულია კორპორაციული ფინანსების შინაარსი და ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სახელწოდებასთან (ამჟამად არსებული სასწავლო კურსი წარმოადგენს მენეჯერული აღრიცხვის სასწავლო კურსს);
- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემის მომზადება ყოველი აკადემიური წლისთვის, რომელიც დეტალურად აღწერს პერსონალის დაგეგმილ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას;
- რეკომენდებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ არსებული დოკუმენტები (მაგალითად, პროგრამის პერსონალის სია მათ მიერ წაკითხული კურსების მითითებით, "QMS", "დანართი 2" იყოს თანმიმდევრული;
- რეკომენდებულია უნივერსიტეტის რეგულაციები შესაბამისობაში მოვიდეს საკანონმდებლო მოთხოვნებთან.

რჩევები:

- სასურველია განახლდეს სასწავლო კურსების კურსებში ლიტერატურა;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა უკეთ მოერგოს შრომის ბაზრის საჭიროებებს, ჩატარდეს დამატებითი კვლევა, რომელიც კონკრეტულად შეისწავლის დამსაქმებელთა მოთხოვნებს სასურველ უნარებსა და კომპეტენციებზე;

- სასურველია დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობის გაზრდა სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში;
- სასურველია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და მოხდეს მათი კორექტირება, რათა უკეთ მიესადაგოს სამოქალაქო ინჟინერიის კონცენტრაციას. კონკრეტულად, სწავლის შედეგები ნათლად უნდა ასახავდეს იმ ტექნიკურ და მენეჯერულ კომპეტენციებს, რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ სამოქალაქო ინჟინერიის კონცენტრაციის ფარგლებში;
- სასურველია, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, პროგრამა ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
- სასურველია სილაბუსები უფრო დეტალურ ინფორმაციას შეიცავდეს სხვადასხვა ტიპის გამოცდებზე სტუდენტების შეფასების შესახებ. სილაბუსებში მოცემული შეფასების სისტემა აჩვენებს მხოლოდ მაქსიმალურ ქულებს სხვადასხვა ტიპის გამოცდებისა და მათი კომპონენტებისთვის. თუმცა სილაბუსებში არ არის დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეფასდებიან სტუდენტები არასრული პასუხებისთვის;
- სასურველია, ახალ პროგრამებზე დაშვების ყველა წინაპირობა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ;
- სასურველია დამყარდეს მეტი პარტნიორობა ბიზნესებთან და ორგანიზაციებთან სხვადასხვა სექტორში, რაც ყველა პროგრამაზე უზრუნველყოფს რეალური სიტუაციების შესწავლას, საკონსულტაციო პროექტებსა და სტაჟირებას, და სწავლების მეთოდებს დარგის პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოიყვანს;
- სასურველია რეგულარული, სტრუქტურირებული ტრენინგ სესიების დანერგვა თანამედროვე სწავლების ტექნიკებში, როგორიცაა შებრუნებული საკლასო ოთახი, გეიმიფიკაცია და სტუდენტების მიერ წარმართული სწავლება, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას და ეფექტურობას ფაკულტეტის მასშტაბით;
- სასურველია გაიზარდოს საველე გასვლების, დარგის ვიზიტებისა და გარე აქტივობების რაოდენობა ყველა პროგრამაზე, რაც გააძლიერებს პრაქტიკულ ასპექტებს და უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამის სფეროებთან პირდაპირი კონტაქტით. ;
- სასურველია შემუშავდეს უკუკავშირის ისეთი სისტემა, სადაც სტუდენტები შეძლებენ სემესტრის განმავლობაში გააზიარონ მოსაზრებები სწავლების მეთოდების შესახებ, რაც საშუალებას მისცემს ფაკულტეტს საჭიროებისამებრ დროულად შეიტანოს ცვლილებები;
- სასურველია დაინერგოს სტრუქტურირებული სამრეწველო პრაქტიკა სამშენებლო ფირმებში ან საინჟინრო ორგანიზაციებში, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა;
- სასურველია მეტი ერთობლივი პროექტის განხორციელება დარგის მენტორებთან, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს მიიღონ უკუკავშირი და მოსაზრებები სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტში აქტიურად მომუშავე პროფესიონალებისგან;
- სასურველია შეფასების დეტალური რუბრიკების სტანდარტიზება ყველა პროგრამაზე, რათა ყველა სტუდენტმა იცოდეს, როგორ ფასდება მათი ნაშრომი;
- სასურველია გადასვლა კომპეტენციებზე დაფუძნებულ შეფასებაზე, სადაც შეფასების თითოეული კომპონენტი პირდაპირ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგებს ან კომპეტენციებს;
- სასურველია აკადემიური კეთილსინდისიერების მკაფიო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს პლაგიატისა და სხვა სახის გადაცდომების კონკრეტულ შედეგებს. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ფაკულტეტის ყველა წევრის მომზადება ამ სტანდარტებში და მათი თანმიმდევრული გამოყენება;
- სასურველია პირველ და განმეორებით გამოცდებს შორის პერიოდის გაზრდა;
- სასურველია სასწავლო პროცესის დაწყებამდე საკონსულტაციო საათების ცხრილის შემუშავება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- სასურველია მარკეტინგის ლექტორებმა სტუდენტებს მისცენ საშუალება პრაქტიკულად აჩვენონ რა ისწავლეს კურსის ფარგლებში;
- სასურველია "საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია" შეივსოს სრულად;
- სასურველია სტუდენტების ჩართულობის გაზრდა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში სხვადასხვა აქტივობების ფარგლებში;
- სასურველია ადმინისტრაციული პერსონალის ცნობიერების ამაღლება და მხარდაჭერა სფეროში მათი შემდგომი განვითარებისთვის;
- სასურველია, რომ დარგის გარე შემფასებლებმა შეაფასონ კლასტერში შემავალი ყველა ახალი პროგრამა, რაც დაწესებულებას საშუალებას მისცემს სრულყოფილად წარმოადგინოს სექტორის განვითარების კონცეფცია;
- სასურველია, რომ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართულობა უფრო აქტიური იყოს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, შეფასებისა და შემოწმების პროცესებში, სასურველია პროგრამის დასრულებამდე.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 18 თებერვლიდან.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

ეროვნული ბიბლიოთეკა
მეზამეღსამეღრა
ელექტრონული

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტი Civil Engineering Management
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში/ Bachelor of Business Administration in Management
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 ECTS
14	განხორციელების ადგილი	ბოხუას ქ. #11, თბილისი, 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2025 წლის 18 თებერვალი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 18 თებერვალი